სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საოფისე მანქანებ-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
(CPV30100000)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 9 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქუთაისი
2016 წელი

1.ტექნიკური დავალება:

1.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში.

1.2. უმდაბლესი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტმა, შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში (მისამართი: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის N51) უნდა წარმოადგინოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის ყველა პოზიციაში მითითებული კარტრიჯების თითო-თითო ნიმუში (ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენ ყოველ შემდგომ პრეტენდენტზე).

1.3. მისაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 (ერთი წელს).

1.4.. კარტრიჯები უნდა იყოს სრულიად ახალი, ქარხნულ შეფუთვაში.

1.5. შემოთავაზებული კარტრიჯებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ პრინტერის მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ორიგინალი კარტრიჯების ბეჭდვის რესურსი.

1.6. კარტრიჯებმა უნდა უზრუნველყოს 80 gm ქაღალდზე მაღალი ხარისხის ბეჭდვა.

1.7. კარტრიჯებმა უნდა უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ბეჭდვა ყოველგვარი ლაქებისა და ბეჭდვითი წუნის გარეშე.

1.8. ქარხნული წუნის შემთხვევაში მიმწოდებელმა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა უნდა ჩაანაცვლოს წუნდებული, ახალი კარტრიჯით.

1.9. კონტროლი (მათ შორის ლაბორატორიული შემოწმება) ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

დანართი 1

№	დასახელება	ასლგადამღები და საბეჭდი მოწყობილობის მახასიათებელი	განზომილება	შეკვეთების სავარაუდო რაოდენობა	კარტრიჯის ძირითადი მახასიათებელი
	კარტრიჯი	მრავალფუნქციონალური HP lazerjet M1132 MFP	ცალი	8	CE 285 A / 285A ბეჭდვის მარაგი მინიმუმ 1600 გვერდი
	კარტრიჯი	პრინტერი XEROX Phaser 3010B	ცალი	12	Xerox P3040/WC3045 (106R02183) Black, ბეჭდვის მარაგი მინიმუმ 2000 გვერდი
3	კარტრიჯი	ფერადი პრინტერი OKI C 310 dn (ოთხფერი: Y-ყვითელი, M-წითელი, C-ლურჯი, K-შავი)	კომპლექტი	2	ფერადი კარტრიჯების ბეჭდვის მარაგი არაუმცირეს 2000 გვერდი, შავი კარტრიჯის ბეჭდვის მარაგი მინიმუმ 3500 გვერდი.

4	კარტრიჯი (რიბონი)	პრინტერი FARGO DTC 550	ცალი	2	RBN DTC 550 YMCKOK 400 IMAGE. Part Number 086201
5	კარტრიჯი	პრინტერი A-4 CANON L-SENSYS LBP3010B	ცალი	40	ბეჭდვის მარაგი მინიმუმ 2000 ფურცელი

ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

2.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:
2.2.1 შემოთავაზებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები;
2.2.2 ინფორმაცია საქონელზე საგარანტიო ვადის შესახებ (ფურცლის ბეჭდვის რესურსი).
2.2.3 ფასების ცხრილის შევსებულ ფორმა (დანართი #2) და რეკვიზიტები (დანართი #3);

2.3 სატენდერო წინადადების ფასი:
2.3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის და გადასახადის გათვალისწინებით;
2.3.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.4 ანგარიშსწორების პირობები:
2.4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;
2.4.2. ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

2.5 მიწოდების პირობები და ვადები:
2.5.1. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკა და ინვენტარის (სხვადასხვა სახის კატრიჯები) მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელაშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.
მიწოდების ადგილი: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №51.

შენიშვნა:
ა) კარტრიჯები უნდა იყოს მრავალჯერადი გამოყენების, თუ ეს ტექნიკურად იქნება შესაძლებელი.
ბ) პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებით განსაზღვრული საქონლის ნუსხის არასრული წარმოდგენა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას;

გ)კარტრიჯების ძირითადი მახასიათებლები უნდა ემთხვეოდეს დანართ 1-ში ძირითად მახასიათებლებში მითითებულ მონაცემებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრინტერები ვერ უზრუნველყოფს ბეჭდვას.

2. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № --- (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ---------- 2016 წელს

1. ხელშეკრულების მხარეები
ერთის მხრივ, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ალექსი კეკელიას სახით, მეორეს მხრივ, ---------- ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---------- სახით, მისამართი ---------- ----------

1. ხელშეკრულების საგანი

ტონერიანი კარტრიჯები
(CPV30125100)

2.1 შემსყიდველის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებამ, რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2 შესასყიდი საქონლის ღირებულება (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება").
შეადგენს
_____
(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად)

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი
4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მისაწოდებელი საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა – წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.
4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი
5.1 შესასყიდი ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში;
5.2 მიწოდების ადგილი - ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 51
5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო, ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი, ან უხარისხო საქონლის შეცვლას.
6.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საწყობის უფროსი, რომელიც მიღებას ახორციელებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით. აღნიშნული პირები საქონლის მიღებას ადასტურებენ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით.
6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშსწორება

7.1 შესასყიდი ობიექტის ღირებულება დაიფარება არა უგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის დღიდან.
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:
8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება;
8.2 "შემსყიდველს" უფლება აქვს:
8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 საჭიროებიდან გამომდინარე განუსაზღვროს მიმწოდებელს მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, სახეობა და მიწოდების ადგილი.
8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.2.5 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი, ან უხარისხო საქონლის შეცვლა, ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.3 "მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით, ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი, ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.
8.4 "მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 მოსთხოვოს "შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.5 % ოდენობით;
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;
9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს, ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;
11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;
11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ
აგრეთვე:
11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
11.4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის, ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
13.1. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;
13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და "გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ფორსმაჟორი.
15.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად, ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო, ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია ----------წლის ---------- ჩათვლით;
16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
16.1 წამოჭრილი დავები, ან აზრთასხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
16.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.
17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.
17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად.
17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება, ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
17.9 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 2 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.
17.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;
17.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

“შემსყიდველი”	**“მიმწოდებელი”**
სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი	
დირექტორი ალექსი კეკელია	
მის: ქ.ქუთაისი, ავტომშენებლის 51	
ტელეფონი: 0431 29 81 18	
საიდ. კოდი: 212922612	
საბანკო რეკვიზიტები:	
სახელმწიფო ხაზინა, თბილისი	
კოდი: TRESGE22	
ანგ. № 707943459	

3. საკონტაქტო პირი სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ განმარტებებისათვის

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქუთაისი, სსიპ კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, ავტომშენებლის 51. საკონტაქტო პირი: კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სატენდერო კომისიის აპარატის წევრი თემური აბაშიძე (ტელ. 877 39ნ 24 67).

დანართი №2

4. . ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

პრეტენდენტის დასახელება ----------

სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულება----------ლარი

1. განკუთვნილია სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სამსახურების საჭიროებისათვის

რიგითი #	**დასახელება**	**საქონლის ძირითადი მახასიათებლები**	**ზომის ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო ფასი**

სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა შეადგენს:---------- კალენდარულ დღეს.
საქონლის მიწოდების ადგილია:----------
საქონლის მიწოდების ვადაა:----------
პრეტენდენტის ხელმოწერა----------

შენიშვნა (1): საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროდუქციის ერთეულის ფასს.

შენიშვნა (2): გამრჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად, მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

დანართი №3

5. პრეტენდენტის რეკვიზიტები.

პრეტენდენტმა სისტემის გამოყენებით უნდა წარმოადგინოს შემდეგი რეკვიზიტები:

პრეტენდენტის რეკვიზიტები:
1. პრეტენდენტის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა და დასახელება;
2. ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
3. პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართი;
4. პრეტენდენტის ტელეფონის/ფაქსის ნომერი;
5. საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
6. საიდენტიფიკაციო კოდი.

საბანკო რეკვიზიტები:
1. ბანკის კოდი;
2. ანგარისწორების ანგარიში;
3. ბანკის ადგილსამყოფელის მისამართი.

შენიშვნა: შემსყიდველის მიერ ნებისმიერი გასაგზავნი წერილობითი შეტყობინება აიტვირთება ერთიან ელექტრონულ სისტემაში და იმავდროულად გაიგზავნება პრეტენდენტის რეკვიზიტებში მითითებულ საფოსტო მისამართზე, ან გადაეცემა ხელზე. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება სისტემაში ატვირთვის დღიდან, მიუხედავად წერილის ჩაბარების თარიღისა.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე
მე, ქვემოთ ხელმომწერი, _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)
_____ სახელით,
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)
წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____
_____
(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)
მის მიერ_____
_____
(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)
შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:
1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
ა) სატენდერო წინადადების ფასი;
ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.
6. ტენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.
_____
(პრეტენდენტის რეკვიზიტები)
_____
(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)
_____
(თარიღი)
სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195_1 მუხლის შესაბამისად.